Greater Manchester საზოგადოებრივი ჯანდაცვის გუნდის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მშობლებისა და მზრუნველებისათვის

წითელა



წითელა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ინფექციურ დაავადებას წარმოადგენს.

რაც იმას ნიშნავს, რომ მისით ინფიცირება და გავრცელება მარტივია.

მისით, ადამიანები შესაძლოა მძიმედ დაავადდნენ ან დაიღუპონ კიდეც.

ორსულობის დროს წითელათი ინფიცირებამ შესაძლოა ავნოს თქვენს მუცლად მყოფ ჩვილს.

მაგრამ, არსებობს უსაფრთხო ვაქცინაცია, რომელსაც თქვენი დაცვა შეუძლია.
ეს ბროშურა მის შესახებ გიამბობთ.

როგორ ვრცელდება წითელა
იგი ვინმეს დახველების ან დაცემინებისას, აირ-წვეთოვანი გზით ვრცელდება.



რა სიმპტომები ახასიათებს?
მაღალი ტემპერატურა და კანზე გამონაყარი.

რა პრობლემების გამოწვევა შეუძლია წითელას?

მოზრდილები და ჩვილები (12 თვემდე ასაკის) გართულებებისაკენ უფრო მიდრეკილნი არიან.



ზოგ შემთხვევაში, წითელამ შესაძლოა გამოიწვიოს მკერდის ინფექციები, კრუნჩხვები, ტვინის შეშუპება და ტვინის დაზიანება.

ბავშვებს შესაძლოა დაენიშნოთ 5 დღიანი წოლითი რეჟიმი და გააცდინონ, დაახლოებით, 10 სასწავლო დღე.

ვაქცინა

სკოლა ან თქვენი ექიმი გთხოვთ ჩაუტაროთ თქვენს ბავშვს ვაქცინაცია. **გთხოვთ, დართოთ ნება.**

ვაქცინა MMR აცრის სახელით მოიხსენიება.

იგი თქვენს შვილს იცავს წითელას, ყბაყურისა და წითურასაგან.

ვაქცინაცია დაგვიანებული არასოდესაა.

მას არ აქვს ზედა ასაკობრივი ზღვარი.

მოზრდილებს, რომელთაც დროულად არ ჩაუტარებიათ მათი ვაქცინაცია, ასაცრელად შეუძლიათ მიმართონ ზოგად ექიმს (GP).

თუ ზუსტად არ იცით, ჩაგიტარდათ თუ არა MMR ვაქცინაცია, გთხოვთ, გაესაუბრეთ აღნიშნულზე თქვენი ჯანდაცვის წარმომადგენელს.

NHS

თქვენი ეროვნული ჯანდაცვის სერვისი (NHS) აცხადებს, რომ აღნიშნული ვაქცინა და აუტიზმი არავითარი ურთიერთკავშირით არ ხასიათდება. იგი უსაფრთხოდ, მსოფლიოს მასშტაბით გამოიყენება.

ჩვენს ჯანდაცვის გუნდს სურს დაგეხმაროთ თქვენ. გთხოვთ, გაესაუბრეთ მათ და დაუსვით ნებისმიერი შეკითხვა. მეტი იხილეთ www.nhs.uk/conditions/measles/-ზე